

# სასახლსი ფურცელი

სურათებიანი ჟამათები

გაზეთის № 65

დამატების № 12

კვირა, 17 აგვისტო 1914 წ.



ფილინანდ ლასალი.

10/49

## მოჯალაბე

ისტორიული მოთხრობა.

(იხ. სურათებიანი დამატება № 11)

მურზაყან აღმასხანის სასახლეშიაც ერთი ამბავი იდგა:

— ე გლახა საქმე მომხდარა, შენ ნუ მომიკვდები, გლახა! ბედავს, მაგრამ რას ბედავს ე წუწუკი ესა! არაფრისა არ ეშინიან არ ერიდება; არავინ არაფრად არ მიაჩნია... გოუბედავს, მაგრამ რა გოუბედავს!.. ცული დრო დაგვიდგა სწორედ, ცული!—მძიმე ამოხვნი-შით უთხრა თავადმა თავის მეუღლეს.

— არაფერი ცული დრო არაა; უარესისაგან დაგვიფაროს ღმერთმა!—დინჯად მიუგო ტერეზიამ.

— როგორ? ახირებული ამბავია?! ვილაც მუტრუკი მოჯალაბეს შვილი თავადი გერიას ჩირათაც არ ავდებს!.. დღეს მოახლე გოგო მოსტაცა, ხვალ-ზეგ გვერდში ამოუჯდება... მიდი და უყარე კეკალი!

— ნამეტანი გაზვიადება კი იცი, შენ ნუ მომიკვდები! რა მოხდა, ადამიანო, სამაგისო?.. დაიქცა ქვეყანა! მოჯალაბემ მოახლე წაიყვანა!.. არა და ერთი ეს მითხარი: ვის უნდა წაეყვანა კოწიას მოახლე, ან ვინ უნდა შეერთო მოჯალაბეს?

— ვინ შეერთო? ვინც უნდოდა. მაინც და მაინც კოწიას არ ცემოდა წვერში, ქალს ვერ იშოვნოდა? მაგრამ ჯიბრზე იქცევა; უნდა ვაჟკაცობა გამოიჩინოს და ის ვაჟკაცობა დალუპავს მას.

— ახირებული კია, შვილები ნუ დემეხოცება, ადამიანის ასე შებორკვა!..

— ვინ ადამიანიაო? სადაური ადამიანიაო?—წამოხტა და წამოიძახა გალიზიანებულმა მურზაყანმა.—ყმები თუ ადამიანებია, ჩვენი მურაც ადამიანი ყოფილა, აბა!

— დიდება შენდა უფალო!.. ერთხელ მანც არის დაიჯერე, ვაჟბატონო, რომ ყმებიც ისეთივე ადამიანებოა, როგორც ჩვენ... იმათაც იციან სიყვარული, იმათაც უნდათ ცრლი, შვილი, ცხოვრება... შეუყვარდა ქალი, შეერთო მისი ტოლი, მისი ამხანაგი!..

— შეერთოს, შეერთოს; ჯანაბას მისი თავი!—შეაწყვეტინა სიტყვა ცოლს მურზაყანმა,—მაგრამ რატომ არ იკითხა, ვისი იყო იგოგო.

— ვისი იყო და ყმისა—უსკიასი.

— კიდე, უსკიასი იყოო?! უსკიასი როგორ იყო?! რატომ არ იცი, რომ ყმა-მამას შვილი არ ეკუთვნის! ყმა, მამიან-დედიანათ, ცოლიან-შვილიანად ბატონს ეკუთვნის, ბატონს!

— ბატონს ყმის სამსახური ეკუთვნის და არა სული. სული თავისთვის აქვს ყმასაც და ამას ვერავინ წაართმევს!.. აბა, წამიკითხე დებულება: სად გიწერია, რომ ყმის სულიც ბატონს ეკუთვნისო!.. ეყოს კოწიას, რაც ემსახურა მოახლე! სულს ხო არ შესწირავდა? თუ გაიპარა, კარგიც უქნია... აბა კოწიას ამბავი მე რომ ვიცი ძანს არ გაათხოვებდა იმას? იმსახურებდა, იმსახურებდა მერე შეარცხვენდა გააფუჭებდა და ყველაფერზე ხელს ააღებინებდა, მიაკრავდა კერას და სულსაც იქ დააღვეინებდა... კარგი უქნია, თუ ქალი ვარ, კარგი!

— ჰო, ესეც კია, მაგრამ... რაც უნდა იმას უზამს ბატონი ყმას! როგორც უნდა ისე იმსახურებს, ისე მოიხმარს, ისე გამოაყენებს!—ცოტა არ იყოს, დარცხვენით შენიშნა მურზაყანმა და თავი მირს დაუშვა. მას სადაო მასალა შემოლოცოდა.

— როგორ თუ: „მოიხმარს, გამოიყენებს?“ არ გრცხვენია ვაუ-  
ბატონო, რომ შენ კიდე ამას ამბობ! შენ ხომ მაინც ღვთისნიერი კა-  
ცი ხარ, როგორ იკადრე მაგისთანა ლაპარაკი?


— კარგი ქალბატონო, კარგი... მაპატიე!—სთხოვა უფრო დარ-  
ცხვენილმა მურზაყანმა ცოლს.—ღმერთმა იცის, ყმებს მე ურიგოდ  
არ ვეპყრობი... მაგრამ ახლა რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია! საცაა  
კოწიაც გამოინავარდებს; ის ახალა დამიწყებს აქ ბაქა-ბუქს... თუ  
ხელი არ გამოვიღე, იტყვის: „ეშინიან, ყმის სისხლი თავადის სის-  
ხლში გასცვალა“ და კიდევ, ვინ იცის, რას არ იტყვის? თავზე რომ  
ვიდვა, გიდელიაც ერთი თავზე ხელაღებული კაცია...

— მაგისთვის შენ თავს ნუ იტყვივ. თუ მოვიდეს, დამშვიდე,  
ნუ ინებებ ყმის აუოლას თქო; არ გეკადრება მოახლეს გაეკიდოთქო.  
თუ დაიჯერებს, დაუჯერებია, თუ არა და მან იცის და გიდელიამ.

ესენი ამ მსჯელობაში იყვნენ, რომ კოწიაც კარზე მიადგათ...  
მურზაყანი ღიღის პატივისცემით შეჭხვდა სტუმარს, მოიკითხა ზრდი-  
ლობიანად და შეიპატიჟა სასახლეში... კოწიამ პირდაპირ საქმეზე  
დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ისეთი ალღევებით კი, რომ უცხოს ეგო-  
ნებოდა: მტერს აუღია ამისი საცხოვრებელიო. გარისხებული თავა-  
დის ქექა-ქუხილში იხატებოდა თვით მაშინდელი დროისაც კანონ-  
დებულების აღმატებაც.

— არა, ბატონო მურზაყან!—მოურიდებლად წამოიძახა ბოლოს  
კოწიამ,—ათასჯერ რომ მითხრა:—მოითმინეო,—ათასჯერვე გეტყვი:

—ვერ მოვიტენ მეთქი... პირველად  
შენთან იმისთვის მოვედი, რომ  
შენ, როგორც ბატონმა გამოაყვან-  
ინო და ხელში მომცე შენი ყმა,  
ჩემი მოღალატე და ოჯახის გამ-  
ძარცველი. ამას მოითხოვს თავადი-  
შვილის სისხლი და მეზობლობა—  
და თუ ამაზე უარს მეტყვი, მაშინ  
მე უნდა ვიკისრო შენი მოვალეო-  
ბა: მე თითონ გამოვიყვან და დავ-  
სჯი, როგორც მოვისურვებ, რო-  
გორც მეკადრება ისე დავსჯი.



ბელგიელთა ციხე ნამიურში; შენობების წინარიგში მოს-  
ჩანს ტაძარი, სადაც ქეთევან წამებული ასაფლავია.

— დამრჩენია მოგახსენო, რომ  
ის ბიჭი ჩემი არ არის; იყო და ახ-  
ლა არაა. ის ვაჩუქე მიქელ მალა-  
ლიას; იმას თავისუფლების საბუ-  
თიც მიუცია...

— რას ამბობ მურზაყან?—წა-  
ართვა სიტყვა კოწიამ,—რის სა-  
ბუთიო, სადაური საბუთიო! მიქელს  
რა უფლება ჰქონდა შენი ყმა გა-  
ენტავისუფლებინა? შენ იმას ბიჭი ათხოვე, აახლე თორემ კი არ  
გჩუქებია!.. თუ საბუთი აქვს, თავზე გადაახიე ყალბი საბუთი და  
ჯალაბი მოჯალაბედვე დაიყენე.

— არა; რაც იყო, იყო. მიქელის საბუთს მე იმდენად პატივსა  
ვსცემ რამდენადაც თვით მიქ...

— ხა-ხა-ხა!—შხამიანად წამოიხარხარა კოწიამ და ისევ შეა-  
წყვეტინა სიტყვა მურზაყანს.—გშინებია, გშინებია; ამდონს რას ამ-  
ბობ; შეუშინებია ყმას—მოჯალაბეს!

— იფიქრე როგორც გენებოს! თუ ძალიან გნებავს, დაუძახე  
მშიშრობა პატივისცემას!.. შენც გირჩევ, ჩემი სახლიდან სასისხლო  
გზაზე არ წახვიდე. თუ გსურს, მიიღე ესეც მშიშრობად,—ხმა-მაღლა  
უთხრა მურზაყანმა კოწიას და წყენა გამოეხატა სახზე.

— რას მირჩევ, აბა, მურზაყან?—ხმადაშვებით და, ცოტა არ  
იყოს, დარცხვენით ჰკითხა კოწიამ.

— მშიშარას რა რჩევა ეკითხება?—ისევ წყენით და დაცინვით  
უპასუხა მურზაყანმა.

— გთხოვ, მურზაყან, პატივიმცე როგორც სტუმარს და ძმას...  
განაწყინებულმა, შენც გაწყენინე, მაგრამ ნუ იფიქრებ, რომ პატივს  
არ გცემდე და არ გაფასებდე.

— მეტი რა უნდა გირჩიო, კოწია?—დაამებით უთხრა, კოწიას  
ბოდიშით სახე გაფერილმა მურზაყანმა.—სირცხვილი არაა მოახლე  
გოგოსთვის სისხლი დაღვარო? მერე ვისთან? შენ გგონია ის გამუტ-  
რუკებული ყაზახი რამეს დაგიტომბს? ისიც არ იყოს, მის სახლკაცებს  
ის სულს ურჩევნიათ, იმისთვის სიკვდილს არცერთი არ შეუშინდება!..  
— ჰმ!..

— არა, დამაცალე. იმას კი არ გირჩევ, ეინი არ დაიკაყოფი-  
ლო, მეთქი, არ დასაჯო გიდელია მეთქი! ის დასაჯე-დასაჯე, რო-  
გორც გსურდეს, მაგრამ ისე კი, რომ შენ არაფერი გეენოს.

— ის-ის!..

— დამაცალე; რაკი მკითხე, დამაცალე. შენ ახლა ალღევებუ-  
ლი ხარ, ფათერაკს გადაეკიდები. ასე ნუ ვიზამთ; გავგზავნოთ ჩემი  
მოურავი და დაწვრილებით გავიგოთ ამბავი. მანამ დაბძანდი და გუ-  
ლი დაიმშვიდე.

კოწია სიჩუმე მოიცვა... ამით ისარგებლა მურზაყანმა და და-  
უძახა მოურავს.

— „წადი გიდელიასას,—უბძანა მან კუჭუს,—დაწვრილებით  
გაიგე ყველაფერი და მოგახსენე. არ გვიღალატო; ხო იცი, ბატონის  
სამსახური და ღვთის სამსახური ერთია“.

სანამ თავადები სადილს მიირთმევდნენ, მოურავმა მოიტანა  
ამბავი და მოახსენა ყურთასმენად გადაქცეულ ბატონებს:

— „დავითს სულაც არ ეშინიან იმისი, რომ გოგოს ვინმე წა-  
ართმევს,—დაიწყო დინჯად მოურავმა,—გოგოც ვნახე, მაგრამ არა-  
ფერი მიკითხავს. გიდელიებს თავი მოუყრიათ დავითისას და ერთს  
ამბავში არიან:

— „როგორ თუ დავითმა მოახლე გოგო მოიტაცაო! ვინ და-  
უჭერდა იმას ქალს, რომ მოახლე არ მეეყვანაო!..“

— მერე და ახლა შინაა ი მუტრუკი ყაზახი?—შხამიანად ჰკით-  
ხა კოწიამ მოურავს.

— შინ არის, ბატონო, შინ გახლავს. არც არაფრისა ეშინიან  
და არც არავის ერიდება. ის ახლა გახიზნული იქნებოდა მეგონა,  
მაგრამ გოგოიანათ შინაა-შინ.

— ჰმ!—წამოიძახა უეცრად კო-  
წიამ, წამოხტა და ისე ლაზათი-  
ანად ჩააკრაქუნა კბილები, რომ  
კაცს ეგონებოდა: ეს არის, ხელი  
აიღო კბილებისგანო.—არც კი გა-  
ხიზნულა ის ლორი? გოგოც შინ  
დაუბრძანებია?... სულ არაფრად  
ჩაუგდივარ, ლანდათაც არ მიუჩე-  
ნივარ! მაგრამ ვფიცავ ჩემი ბრწყინ-  
ვალე მამის საფლავს, რომ ათასი  
თავიც ებას, ათასსავეს წაეპკრი!—  
წამოიძახა უზომოდ გაბრაზებულ  
მა კოწიამ და ისარივით გაეარდა  
კარში.

— ცხენი!—დაიძახა მოთმინება  
დაკარგულმა თავადმა და წამო-  
ავლო ხელი თოფს, რომელიც იქვე  
კედელზე ჰქონდა მიყუდებული.

შეინძრა სასახლე, შეიქნა ფაცა-  
ფუცი.


— გაფიცებ მამიშენის საფლავს, კოწია, ჩვენი სასახლიდან  
სასისხლო გზაზე არ წახვიდე. ჩემი პირველი თხოვნა ესაა შენთან  
და თუ არ გინდა სამუდამოდ მოსპო ჩვენთან კავშირი, ამისრულე  
ეს თხოვნა,—სთხოვა კოწიას სახეგაფითრებულმა ტერეზიამ და იმა-  
ნაც წაავლო ხელი კოწიას თოფს.

ეს სწაღდა კოწიასაც. მას კარგად ესმოდა, რას მოუტანდა და-  
ვითის დაცემა. ეშინოდა კიდევ და არც ფიქრობდა ძალის ხმარებას,  
მაგრამ ამ გულის ნადების გამქლავებასაც არ ფიქრობდა. ამ დროს  
სწორედ მისწრება იყო მისთვის ტერეზიას თხოვნა, მოელოდა კიდევ  
ამას, მხოლოდ სიამე დაფარა და სახე შეიკუმუნა, თითქომეტად მძი-  
მე ყოფილიყო მისთვის ასეთი დათმობა, მაგრამ მაინც ჩამოუშვა თო-  
ფი, აძრა მწყობრად მოუბარი ენა, დაუმიდლა დიასახლისს, რომ იმი-  
სი პატივისცემისთვის სთმობდა დავითის აწიოკებას, გამოსთქვა ისიც,  
რომ ასეთ საგმირო საქმეს დღეს, თუ ხვალ მაინც მოიყვანდა სის-  
რულეში. გამოემშვიდობა მასპინძელს, შებძანდა ცხენზე და კარგა  
დამძარბული, თავისი ამალით, გაემგზავრა იქით, საიდანაც მობძა-  
ნებულიყო.

გავიდა რამდენიმე ხანი და არავისგან არაფერი არ ისმოდა. არ  
ისმოდა არც კოწიასაგან; ის მიყუჩებულიყო დრო და ქამის მოლო-  
დინში. მხოლოდ ხან და ხან მღვდელი მოიხსენებდა კოწიას წყევლა-  
კრულვით:—„ჩემგან მაინც რა უნდოდა ი წყუელს, რომ მიბძანა:—  
ჯვარი არ დასწერო, თორემ ხომ იცი ჩემი ამბავიო!“

კოწიამ, ჯერ-ჯერობით, ჯავრი მხოლოდ სიკოზე იყარა: შეს-  
წამა ლალატი და ხარი გადაახდევინა, რამაც დიდს მწუხარებაში ჩა-  
ლო სიკოს ოჯახი.

დავითიც თან და თან ბრახდებოდა კოწიას საქციელით; მას  
ხშირ-ხშირად მოსდიოდა ამბავი, რომ არა თუ არა სცხრებოდა და



უდიდესი ჯავშნოსანი გემის „დრენდნოტის“ შეიარაღება: „12 ღიუმიანი ზარბაზნები“.

არ მშვიდდებოდა კოწია, პირიქით, რაც დრო გადიოდა, უფრო ეღვიძებოდა გულში ზღვევის წადილი.

— „ასე არ ივარგებს—დაასკვნა ბოლოს დავითმა,—მე თუ ასე გავწუმი, ვინ იცის, იქნება გაროზგოს კოწიამ სიკო და მღვდელიც ხომ ვერ გადავა მის ბძინებასო“.

ერთ ღამეს, როცა კოწიას არხეინად ეძინა და, იქნება სიზმარსაც ხედავდა, რომ ჯაჭვით ყავდა დაბმული დავითი, რომლის ქვეშ გმინავდა, იტანჯებოდა, ითმენდა სასტიკ შიმშილ-წყურვილს მოლაღატე ტყვე და ეს ლხენა-სიამეს გვრიდა თავადის გულს, უცებ მის სახლის ყურთან გავარდა თოფი, გავარდა მეორეც.

— ე რა ამბავია?! — წამოიბლაღლა, უცრად გამოღვიძებულმა კოწიამ და ეცა კარებს, მაგრამ უცრადვე, ვიღაცას ხელები, ისე მაგრა შემოერტყა მის მუცელს, რომ თავადმა ფეხი ვერ წასდგა. ეს იყო ქალბატონი. ისიც უცბად წამოვარდნილიყო ხმაურობის გამო და გაურჩევლად სცემოდა ქმარს.

— გამიშვი, გამიშვი, — ყვიროდა კოწია.

— შენი ჭირიმე, კოწია; შენ გენაცვალე, კოწია, — ემუდარებოდა ცოლი.

— კოწიამ ძალასაც მიჰყო ხელი, უნდოდა თავი გაენთავისუფლებინა ქალის კლანჭებისაგან, მაგრამ ქალი სულ გაჰკიოდა: — „მოგკლავენ კოწია, მომიკლავენ შენს თავსო“ — და ისე მაგრა ჩასკუტებოდა, რომ ძლიერს თავადს ყოველივე ღონემ ამაოდ ჩაუარა. ამასობაში სასახლის ბიჭებიც წამოიშალნენ და ეზო შემოირბინეს, მაგრამ ხორცშესხმული არავინ მოლანდებიათ. ახლა კი ქალბატონსაც გაუარა შიშმა და ხელი უშვა კოწიას, რომელსაც ყვირილისა და შიშის გამო ხმა ჩაფხრეწოდა და საოცრად ხრიალობდა.

— „ამას დავითი იზამდა!.. ვაი დედა მის!.. თავზე ხელი ამალეზინა, მარა ვინ ამალეზინა—ვინ? კაცი მაინც იყოს, ადამიანის სისხლი მაინც ედგას! დამაცა მე შენ! არ ვიქნები თავადი კოწია გერია, თუ შენ არ აკეპე და ძაღლების ლუკმად არ გავხადიო“.

— „დედა, ეს რა დღე გამითენდა, შენი ჭირიმე! ეს რა ღამე დამიდგა! სწორედ მეორედ მოსვლის დროა მომდგარი! ამას რას ბედავენ, შენი ჭირიმე, ყმები?! ვაი ჩემს თავლებს! კოწიას მომიკლავდნენ, კოწიასო“ — წუწუნობდა თამარი.

— შენც ერთი ახირებული ხარ, შენ ნუ მომიკვდები! რომ ჩამაცივდი და საშველი არ მომეცი, ვითომ რაო? იმას სულს გავაცხებივბი; აქვე გავაცხებივბი სულს, — საყვედურით მიუბრუნდა კოწია ცოლს.

— ბატონო, შენი ჭირიმე! შენ უცბად ვერ დაინახავდი, ის დაგინახავდა, გესროდა და მოგკლავდა შენს მტერს და აეს. ის ახლა გაბოროტებულია: იმისთვის ახლა სულ ერთია, გინდ შენ მოუკლავხარ, მეფის ტოლა კაცი და გინდ მისი ძმა-ვინმე უჯიშო!


— მამა უცხონდა იმას! მომკლავდა, აბა! მომკლავდა, მერე სად წამივიდ... ჰო, სად წამივიდ... უი დალაზეროს ღმერთმა! ისე გულმოსული ვარ, რომ სიტყვაც მეშლება, — სთქვა კოწიამ და თავის ოთახში, ანთო ქანის სანთელი და მეტად დაღირწალი, ჩამოჯდა ტახტზე, ღრმად დაფიქრებული. დიდხანს იყო ამ მდგომარეობაში. შემდეგ იფეთქა თოფისწამალივით, წამოვარდა და მოითხოვა ცხენი, იმ განზრახვით, რომ წასულიყო და იმავე ღამეს სისრულეში მოეყვანა, იმავე წამს მოაზრებული... ვინ იცის, იქნება კიდევ

წასულიყო, დაკმაყოფილებულიყო გრილი ჰაერის სუნთქვით, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მისთვის იმ დროს და ვერც ვერავისთვის მიეყენებინა ვნება, მაგრამ, ამ შემთხვევაშიაც იქონია მათე გავლენა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ქალბატონმა, რითაც გაუორკვეა მღელვარება სულსა... კარგა ხნის შემდეგ, თავადი დასცხრა და შეუდგა აზრის შემუშავებას, თუ როგორ უნდა დაესაჯა გიდელია! მონაწილეობას იღებდა ქალბატონიც და მათ ორთავემ სვერი-რამ არჩიეს, ბევრი-რამ, მათის აზრით, საქვეყნოდ სასარგებლო აზრი დაასკვნეს, რაც დავითის მოკვლით და მისი ოჯახის გადაწვა-განადგურებით უნდა მომხდარიყო, რომ ამით დაშინებულ ყმებს მერე ბატონებისთვის ურჩობა არ გაეხდებოდა. ამ ჭირვეულობაში იყვნენ, რომ გათენებულიყო კიდევ. მოლლილ-მოქანცულმა ბატონებმა თავი მისდვეს მურთაქას და მწარე ნაღველი ძილში თან ჩაიტანეს.

ტასიას მოტაცების შემდეგ არც დავითს უფიქრია ცოტა. იმანაც ბევრნაირად წარმოიდგინა თავისი მდგომარეობა; მოციქულებიც აარჩია კოწიასთან მისაგზავნად, რომ შუამდგომლობა გაეწიათ და ზავი ჩამოეგდოთ, მაგრამ რაც დრო გადიოდა, თან და თან რწმუნდებოდა, რომ მშვიდობიანი გზით კოწიასთან ვერას გააწყობდა და ამის გამო გადასწყვიტა: ისიც იმ იარაღით მიჰგებებოდა კოწიას, რა იარაღითაც ის მოდიოდა.

— „ისეთ სასწალებას უნდა მივმართო, რომელმაც ან მე უნდა დამამიწოს, ან კოწიას ოჯახს გაუთხაროს სამარე. არ მინდა სხვანაირად ჯვარი დავიწერო; კოწიამ როგორც უბძანა მღვდელს, ჯვარს ნუ დასწერო, ისე უნდა უბძანოს, ჯვარი დასწერეო, თორემ არ მინდა თავი ცოცხალიო“ — დაასკვნა მან ერთ საღამოს, გადაიკიდა თოფი და გასწია კოწიას სასახლისაკენ. სასახლეში გავარდნილი თოფი მართლაც დავითისგან იყო, სამოციქულოდ მიგზავნილი, რომლითაც უთვლიდა დავითი კოწიას: „თუ ამან ფერი არ შევიცვალა და სხვა აზრზე არ დაგაყენა, იგივე თოფი ჩაგაწვენს ცივს სამარეშიო“.

მზე კარგა მაღალზე იყო, როცა კოწიამ გამოიღვიძა და პირის დასაბანად წყალი მოითხოვა. ის ისევ-ისე იმავე ადგილზე იჯდა და ჩვეულებრივი გუნებაზე არ იყო: წინაღამინდელი აღელვებას მათე თავისი დალი დაესვა — დაელონებინა — „აგერ შუახნის კაცი ვარ, თვალადობა არ მაკლია და ტანადობა, გვართ ხომ პირველი თავადიშვილი ვარ ოდიშში, მამული არ მაკლია და ყმა, სასახლეში დიდად მიღებული ვარ, თავადებს თავიანთ-თავზე მეტად მივაჩნივარ და პატივს მცემენ, აზნაურები ხომ მადლის გადახდასაც ვერ მიბედავენ, სანამ, პირველად, არ ვეტყვი გამარჯობას და ეს წუწკი-ვიღაცას შვილი ამას რას მიბედავსო? ამას თუ ჩემი საკადრისი ბოლო არ მივეცი, ჩემი სიკოცხლე არაფრად ელირება; ან სად გამოვჩნდე მოჯალაბეს აგდებული თავადი?!“ — ამბობდა გულში, ფიქრებში დაბნეული კოწია, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გადაეჭრა რომელი გზით უფრო ადვილად მიალწევდა მიზანს. ამ გადაწყვეტელ აზრებში, ცხენზე შეჯდომა მოუნდა „კაემნის გასაქარვებლად“, მოირთო კიდევ იარაღით, შეჯდა ცხენზე და გადაიარა ეზო-კარი.



საომრად გამზადებული ჯავშნიანი კრეისერი.

ქალბატონიც ვერ იყო კარგს გუნებაზე. მართალია, ის კოწიაზე უფრო გამწარებული იყო ამ შეურაცხყოფით და მათე მეტადაც ფიქრობდა დავითის დასჯაზე, მაგრამ გარემოებიდან სჩანდა, რომ დავითი არა ხუმრობდა! არა თუ არ ეპოვებოდა თავადს, პირიქით, მოკვლასაც კი ემუქრებოდა და ამას არა სახუმროდ შეეშინებინა ქა-

ლი... იმანაც ბევრი იფიქრა, მაგრამ ყველაზე მეტად ერთი მოსწონდა და იმაზე ჩერდებოდა ხშირად:

— „სჯობია კი, ნამდვილად სჯობია, დღესვე უბძანო მღვდელს, ჯვარი დასწეროს მაგ მურტლებს. ვეტყვი, რომ გოგოს მამამ ქრთამი მოგვართვა და შევიწყალეთ მეთქი. ამაზე კოწია გაწყურება, მაგრამ ვეტყვი, რომ მეც ხომ ქალბატონი ვარ, მოახლის საქმე უფრო მე მეკითხება მეთქი.“ — ამ აზრით მან დაიბარა მღვდელი და გადასცა თავისი ნება. მღვდელმა ყოყმანი დაიწყო, მაგრამ თამარმა დააიმედა, რომ შიში არ მოელოდა.

ამ სახით, დავითმა უხიფათოდ შეიუღლა, ეკლესიური წესით, თავის გულის სატრფო და მისი წადილიც ეს იყო, მაგრამ ის ძალმომრეობა, ის ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამება, რომელსაც პირუტყვეული მოთმინებით იტანდა გაბატონებული მცირე წრისგან დიდი უმრავლესობა — ყმები, ბასრი სამართებელივით ედგა გულში. ამ დროს მისი სასურველი ნატვრა ის იყო, რომ ამ დედამიწასთან გასწორებულ ხალხს ჰღირსებოდა თვალის ახილვა, მოვლენოდა ადამიანური გრძნობა გათვითცნობიერობისა... და ეს აღმძვრელი მოსაზრება ხან და ხან ისე გაიტაცებდა ხოლმე, რომ მზად იყო, შეძლებოდა რომ ჰქონოდა, ის ერთი, მხოლოდ ერთი შებრძოლებოდა იმ დროის უკუღმართობას... მაგრამ ეს იყო მხოლოდ ოცნება და გულსაც ის უკლავდა გრძნობიერ ადამიანს, რომ ეს იყო მხოლოდ ოცნება!

V

1842 წლიდან ოდიშის მართვა-გამგეობის საქმეში დიდი ცვლილება მოხდა. ოდიშის მთავარმა, დადიანმა<sup>1)</sup> ლევანი გრიგორის ძემ, ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში სამთავრო ტახტი დაუთმო თავის პირმო ძეს, რუსეთის გემოვნებაზე აღზრდილ — დავითს და მით მოიშორა თავიდან მის ხასიათთან სრულიად შეუსწავებელი ზრუნვა ოდიშის მართვა-გამგეობაზე. სამაგიეროდ, დაავალა შვილს გადახდა იმ 15,000 მ. კერძო ვალისა, რომელსაც სამთავრო საქმეებთან არაერთი დამოკიდებულება არა ჰქონდა. მართალია, ლევანმა მოიშორა ზედმეტი ბარგი, მაგრამ ამით ქვეშევრდომ თავად-აზნაურთა გული კი დასჩაგრა. მუდამ მხიარული, მოქიფე, მონადირე და უზრუნველი ლევანის დროს თავად-აზნაურობა მეტად თავაშვებული იყო: თითოეული მათგანის ნება-სურვილი უმაღლესად დამტკიცებული კანონს შეადგენდა მათს საყმოში, თუმცა ეს ნება-სურვილი თითქმის ყოველთვის სჭარბობდა ყოველგვარ კანონს და მოთხოვნილებას, როგორც ღვთიურს, აგრედვე ადამიანურსაც... და ეს გაბატონებული ნაწილი, თითქო წინ და წინვე გრძნობს ალაგმვასო, დიდი მწუხარებით შეეგება ძველი მთავრის გასვლას.

მართლაც, რომ დიდად არეულ-დარეული საქმეები გადავიდა დავითის ხელში: კანონი მივიწყებული, ზნეობა გახრწნილი, სარწმუნოება დაცემული და ძარცვა-გლეჯა-თარეშობა კი გაბატონებული, რაც ახალი მთავრის რწმენას მეტის-მეტად ეწინააღმდეგებოდა... დავითი წინ და წინვე ჰხედავდა, რომ გაფუქსავატებულ თავად-აზნაურობის ხელში, არა თუ მეტად სამძიმო იყო მისგან წინ და წინვე შემუშავებული გეგმის განხორციელება მართვა-გამგეობაში, საშიშიც იყო... მაგრამ ამას არ დაერიდა ახალგაზდა მთავარი; ის დიდი მხნეობით შეუდგა საქმეს. თავდაპირველად განიხილა სამთავრო დებულება, რომელიც უშველებელი ღრუბლით იყო მიჩდილული, შეიტანა მასში დიდი შესწორება და სასტიკად აკრძალა დებულების გარეშე მოქმედება; შესცვალა წესდება, რომლითაც თანამდებობა გაურჩევლად გადადიოდა მამიდან შვილზე; სამთავრო დაყო რამდენიმე ოლქად და თითოეულ მათგანში დააყენა დივანბეგებად სანდო პირები საგანგებო მინდობილობით და მათთვის საგანგებოდ შემდგარი წესდებით... ამასთან, გადააყენა სამსახურიდან ნიკო ბატონიშვილი, „დიდი ნიკოდ“ წოდებული, რომელსაც სასახლეში „დიდი ვეზირის“ ადგილი ეკირა და დიდხანსაც მართავდა, ლევანის დროს, სამთავროს დამოუკიდებლად. ასეთი მოქმედებამ დიდძალი მტრები დაუბადა ახალგაზდა მთავარს, რომელთა რიცხვში უფრო ძლიერნი იყვნენ, დიდი ნიკოს შვილები: გიორგი, პეტრე და ბესარიონი, რომელნიც შურით და გესლით აივსნენ მთავრისადმი, მამის გადაყენების გამო. მათ-

თან ერთად, დავითის წინააღმდეგ მოქმედებდა, პირველი მათგანის — გიორგი ბატონიშვილის სიძე — აფხაზეთის მთავარი მიხეილი შერვაშიძე. ესენი სთესავდნენ მალალ წოდებაში და ხალხშიაც უკმაყოფილება-უნდობლობას მთავრის მიმართ და ყველა ახლად გამოცემულ წესდებას თავისებურად ხსნიდნენ, რა თქმა უნდა, იმ მიზნით, რომ მთავრის ღირსება და წოდება დაემციობინათ... მაგრამ ეს ხდებოდა მეტად საიდუმლოდ და გარეგნული შეხედულობით, ბატონიშვილები ყოველთვის ერთგულ ქვეშევრდომებად აჩვენებდნენ თავს მთავარს. მიუხედავად ამისა, მთავარი მაინც თავისას არ იშლიდა და იძენდა სულ ახალ-ახლ მტრებს. მან ექვსი ათასი სააზნაურო გლეხი სამთავროდ დაბეგრა, ეგრედწოდებული, „საუდიეროთი“ და გამოაცხადა, რომ ეს წყარო საჭირო იყო სამთავრო ხარჯების დასათარავად... მაგრამ ძმებმა ბატონიშვილებმა გაავრცელეს ხმა, რომ საუდიეროს სხვა არაფერი საზოგადო დანიშნულება არ ჰქონდა გარდა იმისა, რომ ის ჩასულიყო მთავრის ჯიბეში და კიდევ ჩააწვეთეს აზნაურებს ყურში, წინააღმდეგობა გაეწიათ ასეთი ძალმომრეობისთვის. აქა-იქ მართლაც გაისმა აზნაურებისაგან ურჩობა, მაგრამ მთავარმა, ჩიქოვანების შეწვევით, საჩქაროდ აკრიბა ხარკი და მით მოიმდურა აზნაურებიც... არც ამას დასჯერდა მთავარი. მან ჩამოჰხადა თავად-აზნაურებს ერთგვარი ყმებიც, რომელნიც, ცალკე, მღვდლებადაც იწოდებოდნენ. დავითის გამთავრებამდის, მღვდელი სულ არაფრით არ გაირჩეოდა ყმისგან; მღვდელიც ისეთივე ყმა იყო სასახლეში, როგორც უბრალო მონა; პირველსაც ისე ათხოვნიებდნენ, როგორც უკანასკნელს, აკრეფინებდნენ ყურძენს, აზიდვინებდნენ ზურგით, ადგილიდან ადგილამდის, ბატონის ბარგს და, შეთხვევით, ყიდდნენ კიდევ; როგორც მონას. როცა, ვით მღვდელი, დასჭირდებოდათ, უბძანებდნენ და აწირვინებდნენ, ხოლო შემდეგ წირვისა, მონადვე რჩებოდა. არ მოიწონა ეს ახალმა მთავარმა და 1842 წელს დაბოლოვებით გაათავისუფლა მღვდლები ყმობისგან და, ერთის მხრით, ამითაც დაიმსახურა მალალიწოდების სამღურავი. ყველა ამას, ისიც ზედ დაერთო, რომ მთავარმა სულ სხვა თვალთ დაუწყო ყურება საჭყონდილო ყმებსა და მამულს. იმ დროს ჭყონდილის (მღვდელ-მთავარი) განკარგულებაში დიდძალი მამული იყო, საჭყონდილოდ წოდებული, მაზე დასახლებული ყმებითურთ, რაც სამი ათას კომლს სჭარბობდა, საიდანაც ერთობ დიდძალი შემოსავალი ჰქონდა ჭყონდილელს. ამ სიმდიდრემ მიიზიდა მთავრის ყურადღება და მოხერხებულად გამართა მოლაპარაკება ჭყონდილელთან; აუხსნა, რომ მღვდელ-მთავრის ღირსებას არ შეესაბამებოდა ქვეყნიური მებატონობა და ურჩია, ნაცვლად სხვა და სხვა გადასახადთა და სამსახურისა, ყმებისთვის შეეწერა ფულით გადასახადი, წლიურად 12 ათასი მ. ამაზე ჭყონდილელიც დასთანხმდა და ყმებიც მაღლიერნი გახდნენ, მაგრამ სულ სხვას ფიქრობდა მთავარი: მას უნდოდა, რომ ჭყონდილისთვის სამთავრო სალაროდან მიეცა გადაჭრილი ჯამაგირი, წლიურად 12 ათასი მ. და საჭყონდილო მამული ყმებით სამთავროდ ჩაერიცხა. მხოლოდ, მაშინდელი ჭყონდილის სიცოცხლეში, ამაზე სიტყვის თქმაც არ შეიძლებოდა და მთავარიც დრომდის მალავდა თავის გადაწყვეტილებას. ეს ჭყონდილელიც მალე გარდაიცვალა და მთავარმა მის მოადგილედ დანიშნა ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი — თეოფანე (გაბუნია). მთავარი დარწმუნებული იყო, რომ თეოფანე, რომელიც განზრახ აარჩია, ბრმა იარაღად გამოადგებოდა განზრახულ საქმეში. ეს ასეც მოხდა, მაგრამ სხვაგან იჩინა თავი დაბრკოლებამ: სუჯუნის ეკლესიაში ესვენა სასწაულთმოქმედი წმ. გიორგის ხატი, ბატონ-პატრონი საჭყონდილო ყმებისა და მამულისა. საჭირო იყო, პირველად ბატონი — ხატი გაეძეგებინა თავისი მამულიდან მარტვილში და მერე კი, გადაშენებული ბატონის მამულისა და ყმების სამთავროდ გადმოიციხვა ადვილი იყო. მთავარს წინ ედგა ეს საქმე; მებატონის (ხატის) გაძეგება თავის მამულიდან, მაგრამ სანამ განზრახვას სისრულეში მოიყვანდა, გრადაცივალა და თავის მეუღლეს — ეკატერინეს უანდერძა ამის სისრულეში მოყვანა.

(შემდეგი იქნება).

კირილე წუთისოფლელი.

1) დადიანი, ანუ დადია არც სახელია და არც გვარი; ეს არის წოდება (ტიტული) ოდიშის მთავრებისა, რომელნიც სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა გვარეულობიდან წარმოსდგებოდნენ. მაგ. XVII საუკუნეში მთავრებად იყვნენ ბედიას გვარეულობიდან, მას შემდეგ — გოშუა; მერე — ლიპარტიანი, შემდეგ — ჭილაძე და ბოლოს ჩიქოვანი. ამ გვარეულობიდან იყვნენ წარმომდგარნი უკანასკნელი მთავრები. ყველა გვარეულობის მთავრები, გაურჩევლად იწოდებოდნენ დადიანებად, ანუ დადიებად.

1) იმ დროს ჭყონდილად იყო მთავრის მკვიდრი ზიძა-დედით; (წერეთელი) კაცი მეტად გულკეთილი, მაგრამ უბრალო.